საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-1172

2020 წლის 16 დეკემბერი

ქ. თბილისი

ოზონდამშლელი ნივთიერებების 2021 წლის წლიური საიმპორტო კვოტის დამტკიცების შესახებ

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 38^1 მუხლის მე-5 პუნქტის და „ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის და წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს 2021 წლის საიმპორტო წლიური კვოტა შემდეგი ოზონდამშლელი ნივთიერებისთვის: ქლორდიფტორმეთანი (CHF2Cl, HCFC-22) – 47,00 მეტრული ტონა.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 20 დეკემბრიდან.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **ლევან დავითაშვილი**